

## საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის N009/18<sup>1</sup> რეკომენდაციის მოკლე მიმოხილვა

თამარ ჟვანია (სტუდენტი)

### შეკითხვა

ადვოკატი მოსარჩელე „ა“-ს უწევდა საადვოკატო მომსახურება და წარმოადგენდა სასამართლოში მის ინტერესებს მოპასუხე „ბ“-ს წინააღმდეგ. აღნიშნული დავის დასრულების შემდგომ, ადვოკატი სხვა დავაში წარმოადგენს „ბ“-ს როგორც მოსარჩელის ინტერესებს „ა“-ს წინააღმდეგ - სხვა საქმეში, თუმცა შესაძლებელია საქმის მიმდინარეობის დროს ადრინდელ საქმეს დაუკავშირდეს მიმდინარე საქმე. შესაძლებელია თუ არა ადვოკატმა განაგრძოს „ბ“-ს ინტერესების წარმოდგენა „ა“-ს წინააღმდეგ?

### ანალიზი

ინტერესთა კონფლიქტმა შესაძლებელია თავი იჩინოს, როგორც საადვოკატო მომსახურების დაწყებამდე, ისე მისი განხორციელებისას ან დასრულების შემდეგ, რადგან ადვოკატს პროფესიული პასუხისმგებლობა გააჩნია, არამხოლოდ არსებული, არამედ ყოფილი კლიენტების მიმართაც (აპკ-ის 6.1). ამასთანავე, ადვოკატმა არ უნდა განახორციელოს ყოფილი კლიენტის წინააღმდეგ საადვოკატო საქმიანობა იგივე დავაზე ან ერთმანეთთან დაკავშირებულ საქმეზე, რომელზეც უკვე ყოფილ კლიენტს გაუწია იურიდიული მომსახურება, რადგან ასეთ შემთხვევაში, ერთმანეთს უპირისპირდება კლიენტთა ინტერესები (აპკ-ის 8.1). ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის დასრულების შემდეგ, ადვოკატს ყოფილი კლიენტის მიმართ გარკვეული ვალდებულებები რჩება კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვისა და ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების სახით, რაც ახალი კლიენტის მიღებისას უნდა გაითვალისწინოს და დასძინა: განსახილველ შემთხვევაში, შეკითხვაში მითითებულია, რომ ადვოკატის ახალ კლიენტს წარმოადგენს „ბ“, რომელიც წარსულში იყო ყოფილი კლიენტ „ა“-ს მოწინააღმდეგე მხარე. არსებული დავა მართალია არ არის იდენტური და არც მსგავსი ადრინდელი დავისა, თუმცა შეიძლება დაუკავშირდეს. ასეთ შემთხვევაში, ადვოკატმა თავად უნდა განსაზღვროს ინტერესთა კონფლიქტის მნიშვნელოვანი საფრთხე წარმოიქმნა თუ არა „ბ“-ს ინტერესების დაცვისას და შეექმნება თუ არა აგრეთვე საფრთხე ყოფილი კლიენტის საქმის თაობაზე მიღებულ ინფორმაციას. შესაბამისად, ასეთი გარემოებების არსებობს დროს ადვოკატმა უნდა შეწყვიტოს კლიენტ „ბ“-ს წარმომადგენლობა და მისთვის იურიდიული კონსულტაციის გაწევა (აპკ-ის 6.4).

### დასკვნა

იმ შემთხვევაში, თუ ადვოკატი იცავდა კლიენტ „ა“-ს ინტერესებს „ბ“-ს წინააღმდეგ და დავის დასრულების შემდგომ, სხვა საქმეზე წარმოადგენს „ბ“-ს ინტერესებს ყოფილი კლიენტ „ა“-ს წინააღმდეგ, ადვოკატმა უნდა შეწყვიტოს არსებული კლიენტ „ბ“-ს წარმომადგენლობა თუ შეიქმნება ინტერესთა კონფლიქტი ან მისი წარმოქმნის მნიშვნელოვანი საფრთხე, რამაც შესაძლოა საფრთხე შეუქმნას კონფიდენციალობის პრინციპს.

<sup>1</sup> <https://gba.ge/pdf/5c17c775303b9.pdf/5c17c775303b9.pdf>